საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ლევან თევზაძე

ბიულეტენი

კენჭისყრა - 01.09.2025
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს მიხეილ ჯინჭოლია კანდიდატურა?
დიახ (circled) არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი
ლევანი თევზაძე

1 სექტემბერი, 2025 წელი **თბილისი**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს,
ბატონ ნიკოლოზ მარსაგიშვილს

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად მიხეილ ჯინჯოლიას საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 31 დეკემბრის №1/164 განკარგულების საფუძველზე დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შესარჩევი პროცედურა, რომელშიც სხვა კანდიდატებთან ერთად მონაწილეობა მიიღო მიხეილ ჯინჯოლიამ.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, კანდიდატის შესახებ მოპოვებული წერილობითი და საჯარო მოსმენის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, შევაფასე პროცედურაში მონაწილე კანდიდატი - მიხეილ ჯინჯოლია, რის შედეგადაც მივიჩნევ, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით მას 100 ქულიდან მივანიჭე 91 ქულა.

ამასთან, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 12 წევრის მიერ განხორციელებული შეფასებების საფუძველზე, კანდიდატის მიერ დაგროვებულ ქულათა ჯამმა შეადგინა 1085 ქულა, რაც მაქსიმალური ქულის 90,42% შეადგენს, ხოლო კეთილსინდისიერების კრიტერიუმით ყველა მათგანმა მიიჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს. შესაბამისად, დაგროვებული ქულათა ჯამის მიხედვით, მიხეილ ჯინჯოლიამ დაიკავა პირველი პოზიცია.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 5 აგვისტოს №1/85 განკარგულების თანახმად, აღნიშნული შერჩევის პროცედურის შემდგომ ეტაპზე გადავიდა - მიხეილ ჯინჯოლია.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-13 პუნქტით დადგენილი წესით, 2025 წლის 01 სექტემბერს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ჩაატარა ღია კენჭისყრა, სადაც კენჭი ეყარა მიხეილ ჯინჯოლიას კანდიდატურას, მისი საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენის საკითხის გადასაწყვეტად. შესაბამისად, მე მხარი დავუჭირე მიხეილ ჯინჯოლიას კანდიდატურას, რადგან მიმაჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რაც განსაზღვრულია მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობისათვის.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ლევანი თევზაძე